


გაზეთის ფასი

გაზეთის ფასი: ერთი წლით — ექვსი მან., ნახევარი წლით — სამი მან., სამი თვით — ერთი მან. და ხუთმეტო შაურის, ერთი თვით — სამი აბაზია.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ: ВЪ Типографіи, въ редакціи газеты „ПРОБА“.



სელის-მოწიარე... მთლიანად: გაზეთის „პრობის“ კანტორაში... მთლიანად: ანტ. ლორთქიფანიძის კანტორაში.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიანოვის სახლებში.

ქანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასაღის მედნაზე, მათუროვის სახლებში.

ფიქარიანი:

საქართველო: მბილისის საადგილ-მამულ... ბანკი — წერილი ამბები — „დროების“ კორ- რესპონდენცია: მთლიანდგან პარიტიდგან — სკან- დელის თავის გამართლებასზედ, იუნკერი ში- ხან მოურავის — რუსეთი: წერილი ამბები — უცხო ქვეყნები: საფრანგეთი — იაპონია — კორესპონდენცია შენევიდგან — ნარევი ბანცხადებანი:

ამიტომ სამინისტროს გარდაუწყვეტია, რომ ენახებდა და ბაღებში სეხათ წაღდი ფული უნდა მიეცესო და მართო სამის წლის ვა- დლით ამ სამის წლის განმავლობაში მსეს- ხებელმა ბანკს სარგებელი უნდა აძლიოს. იყო სამის წლის ბოლოს ბანკის სამმართვე- ლო შეამოწმებს და დაინახავს, რომ დაგი- რავებულს ბაღებსა და ენახებს პატრონი კარგად უფლის, მაშინ ვალის გადახდა კი- დევ ხუთის წლით ედროება, იმ პირობით რომ თითოეული წლის განმავლობაში ვა- ლის მესხუთედი გადაიხადოს.

რკნი დამოაყრნენ ბურულებს და ამან ძლიერ შეეწიოო რუსული წერა კითხვის გა- ვრცელებას. სჩანს, რომ კორესპონდენტისაგან მო- ყენილი ცნობები მართო რუსული წერა- კითხვის გავრცელებას შეეხება, თორემ ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ, რომე ჩენ- ში ასე ცოტა წერა-კითხვის მცოდნე კაცე- ბი იყვნენ.

ასწავლონ დანაშთენმა მასწავლებლებმა. მა- და მგზავრობისა უნდა დაიდოს ერთი წე- ლიწადი, რომლის შემდეგ მოგზაური ვალ- დებულები იქნება დაბრუნდეს სასწავლებელ- ში, მისცეს მას სამმართველოს ანგარიში თა- ვის მგზავრობისა, წარუდგინოს მას წერი- ლობითი დამტკიცებები თავის საგნის და საქმის კარგათ შესწავლისა და განაგრძოს თავისი თანამდებობა არა ნაკლებ ორის წლისა. ამ გვარი მოქმედება არ იქნება წი- ნაღმდგვი სასწავლებლის წეს-დებისა და მო- გვიტანს დიდ სარგებლობას. მრთელი სა- მი საათი იყო განცხობილებული სჯა ამ სა- განზედ. მითოთეული სამმართველოს წვერ- თაგანი ადგენდა თავის პიროვან სჯას ამ სა- გნის შესახებ და ყოველ მათს კითხვაზედ ეძლეოდათ მათ თუ თავს მჯდომარისაგან, თუ ერთმანეთისაგან პასუხი. მასწავლებლებმა, რომლებიც დავსწრნენ ამ გვარ შესა- ნიშნავ შემთხვევას და რომლებთანაც წი- ნათევი მოლ-პარაკებული იყო სასწავლებ- ლის ზედამხედველი, ერთ-ხმით განაცხადეს სამმართველოს წვერების წინაშე თავთიანთ- თი სრული თანხმობა თავიანთ ხარჯზედ მოხსენებულ გვარად თითო მათგანის ყო- ველ წელიწადს გაგზავნა სამგზავროთ. რა რიგად სასინარულოა ეს საქმე, მე ამა- ზედ მხოლოთ იმას ვატყვი, რომ ამ საქმეს, როგორათაც ყოველ ახალს საქმეს; გუშინდელ სჯაში ეძლეოდნენ სხვა და სხვა დაბრკოლებები, მაგრამ ეს დაბრკოლებები ისეთი უსაფუძვლონი გა- მოჩნდნენ, რომ საქმის დაბოლოებას ვერაფე- რი ენება ვერ მისცეს. ამ მაგალითებრ ნაჩიროთ დაიწყო ლაპარაკი ერთმა პატივეულმა წვერ- რმა. „ჯერ შევიტყუოთ, არკიერი თანახმა გავვიხ- დება თუ არა და მერმე ჟურნალური დად- გინება მოვანდინოთ ამ საქმეზედა“ და ამას დასძინა იმან ისიც, თუ, როგორც ის სჯის, ეს საქმე იქნება წინაღმდეგო, ამისთვის რომ წესდებაში არსად არის ამ გვარ საქმედ რამე ნათქვამიო, არც მაგალითსა ვხედავთ მთუთისის და მთილისის სასწავ- ლებლებში და მრავალი ამგვარი. მეორე ამბობდა, რომ წლის ჯამაგირი მგზავრობი- სათვის სამყოფი არ იქნებოა და სხ. და სხ. მაგრამ თავს მჯდომარის შენიშვნებმა მოუღდეს ამ გვარ აზრებს ბოლო. პირველს მან უპა- სუხა, რომ სხვის ქუთით ცხოვრება სასახლო არ არისო და მეორეს მისცა შენიშვნა, რომ ჯერ ერთი საქმე გადაწყდეს და მერმე მეო- რეზედ ვიფიქროთო. რაღა ბევრი გავაჭრე- ლოთ, უმეტესი მხრით გადაწყდა საქმე, რომლის მაგალითი ჯერ, რასაკვირველია, არ გენახავს მთუთისის, მთილისის და ანუ სხვა სასწავლებლებში. მართლაც და, არკი- ერი თანახმა განდება ამ გადაწყვეტილება- ზედ, თუ არა, ჯერ არ ვიცით. მაგრამ საქ- მე მაინც შესრულდება, რადგანაც ამ საქ- მის შესრულება თავს იღვეს ერთიანთ ზე- დამხედველიდგან დაწყობილი წერის მასწავ- ლებელად.

— 26 პუბლიკურ ლექციებზედ, რო- მელიც მთილისის წრეში წაიკითხეს, შეკ- რებილა 1,155 მანეთი. ლექციები უშენიათ 2,912 კაცს. მსმენელების რიცხვი არ ასცი- ლებია 380 და 170-ზედ არ დაუკლია. შეელა ლექტორებზედ უფრო სიმოგვიჩისას და ვრიცავს უფრო ბევრი წვეულები ჰყოლიათ.

— მთილისის მოამბეში დაბეჭდილია ძე- კასიელი იურიდიკული საზოგადოების პრე- ზიდენტის, უფ. ანდრეევის წიგნი, რომლი- თაც ის აცხადებს, რომ საზოგადოების კამ- მისიამ უარი სთქვა უფ. ნიკოლაძისაგან წინადადებულის კითხვების განხილვისა.

ამას „მთილისის მოამბე“ დასძინებს: ნ. ნიკოლაძემ გეთხოვა გამოვაცხადოთ, რომ მთუთისის მზრის სამსაჯულოს „განმარტე- ბაზედ“ პასუხის დაწერა ჯერ ჯერობით არ შემძლიან, რადგანაც ესლა საზღვარს გარეთ ეარო და საქმის განსამარტებელი ცნობები, მიღება მხოლოდ მთუთისში ყოფ- ნის დროს მოხერხდებაო.

— მთუთისიდან გვეწერენ, რომ მთუთი- სის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებ- ლების მასწავლებლები თავისთვის კასა- სა და მუდამ საჭირო ნივთებისა და ხორა- გეულის მაგზინის იკეთებნენო, იმ აზრით რომ თვითონ თავისი ცხოვრება გაიიფონ და თუ სარგებელი რამე შემოუფეთ გარე- შე მიყდვლთაგან იმითი წერა-კითხვისა და სწავლის გავრცელებას შეეწიონ.

„დროების“ კორესპონდენცია

მთუთისი, 22 მარტს 1874 წ.

სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ცხოვრებაში გუშინდელი დღე სწორედ შესანიშნავი შექა: გუშინ საღამოს ექვს საათზედ სასწავლებლის სამმართველოს თავს მჯდომმა, სასწავლებლის ზედამხედველმა, მის- ცა წვერებს შემდგომი წინადადება: „მის- თვის, რომ სასწავლებლის საქმე წავიდეს კარგათ, სასურველია ყოველ წელიწადს თი- თო მასწავლებელთაგანი გაიგზავნოს რუ- სეთში და, თუ საჭიროება მოითხოვს, ევ- როპაშიაც თავის საქმის და საგნის შესა- სწავლოლად მასწავლებლების ხარჯზედვე. მს საქმე უნდა მოხდეს ამ გვარად: მასწავ- ლებელს, რომელიც განემგზავრება მოხსე- ნებულები დანიშნულებისათვის, უნდა ეგზავ- ნოს მისი ჯამაგირი და იმის საგანი უფასოთ

წერილი ამბები

— მრთი ფრანკო-რუსული გაზეთის პეტერბურ- დელი კორესპონდენტი აცხადებს, რომ რუსეთის მმართველობა მოკითხვის წიგნის გასაგზავნენ ფოჩის ფულზედ ნახევრის დაკლებას ჰფიქრობსო, ასე რომ, თუ ეს მარ- თალი გამოდგა, ორი შაურის მაგიერად წიგ- ნის გასაგზავნად ერთ შაურს გადაიხდით.

— მრთი რუსული გაზეთი გეცნობებს, რომ მთილისიდან აზრუმაძის რკინის გზის გაყენა მალე ვადაწყვეტილი იქნებაო. იქნება ბორჯომამდის რკინის გზისათვის გა- მოსადგვი მოსსესე-გაკეთებას ამ აზრუმის გზასთან აქვს კავშირი.

— გაზეთის „ქაქავის“ კორესპონდენ- ტი იწერება, სხვა და სხვა ცნობებს რაჭისა და მსურგეთის მზრებზედ. მართალია თუ არა ეს ცნობები, ჩვენ არ ვიცით: რაჭის მა- ზრაში 33 სოფლის საზოგადოება არისო, 8,585 კომლი სცხოვრებს, აქედამ 25,037 სული მამაკაცი და 25,975 სული დედაკაცი. ამათში წერა-კითხვის მცოდნე — 866, ხელო- ბის მცოდნე — 597. მითოეულს სოფლის საზოგადოებაზედ 26 თუ 27 წერა კითხვის და 20 ხელობის მცოდნე კაცი ყოფილაო. ანგარიშში არ შედის არც თავდაზნაუ- რობა და არც სამდღელოება.

მსურგეთის მზრაში 10,798 კომლი მცხოვრები ყოფილა. აქედამ მამაკაცი 36,197 და დედაკაცი 36,078 სული. ამათ- გან 1320 წერა კითხვის და 428 ხელობის მცოდნე არისო. ამას გარდა კორესპონ- დენტი ამბობს, რომ ამ მზრაში არც ერთი იმისთანა სასოფლო შკოლა არ არისო, რომ რაჭის შკოლებს შეედაროსო. იქ შკოლე- ბი მშენიერი ქეთუარის ორ ეტაჟიან შე- ნობებს წარმოგვიდგენნო; ამ შენობებს ისე სუფთათ ინახენ, რომ უკეთესი არ შე- იძლება. მოსწავლე ყმაწვილები წმინდათ ჩაცმულები დადიანო შკოლაში. სჩანსო რომ რაჭის მზრას შეძლებული ხალხი ჰყავ- სო.

მსურგეთის თითქმის უშკოლო მზრა- ში წერა-კითხვას გავრცელებას კორესპონ- დენტი უფ. ბერარდის მოღვაწეობასა და 20 ძვეკასიის ლინენი ბატალიონის გაუღენას აწერს. მს ბატალიონი მურიაში 17 წელი- წადია სდგასო; ამ ბატალიონში მოსამსახუ-

საქართველო

თუილისის საადგილ-მამულ

ბანკი.

10 მარტს მთილისის სათავად-აზნაურო ბანკის წესდება სამინისტროდგან სახელმწი- ფო რჩევაში შეუტანიათ დასამტკიცებელად. იმედია, რომ ეს წესდება მალე დამტკიცდეს, რადგანაც მიღებული ჩვენგან ცნობებისაგან სჩანს, რომ სამინისტროს მხრით არავითარი დამაბრკოლებელი მიზეზი არ შეხვედრია. მაგრამ სამინისტროს მოუხდენია ამ წეს- დებაში რამდენიმე ცვლილება, რომელთა- გან ზოგი ცოტათი სხვა ხასიათს აძლევს მომავალს ბანკს;

სამინისტროს საჭიროდ დაუნახავს იმ მუხ- ლების შეცვლა, რომელნიც ბანკის მმარ- თელოებას შეეხებიან. წესდების ახალს მუხ- ლში ნ. თქვაშია თურმე, რომ ზედამხედვე- ლი კამიტეტისა და ბანკის სამმართველოს წვერნი წესდების დამტკიცების შემდეგ ხელ- ახლა უნდა აირჩიოს თავდა-აზნაურების სა- ზოგადო კრებამ. ამას გარდა, ყოველს წელს (და არა მესამე წელს, როგორც ჩვენს წეს- დებაში იყო) წილის ყრით უნდა გამოვიდეს სამმართველოდგან ერთი წვერი და იმის მაგიერ ახალი უნდა დაინიშნოს, ასე რომ მთელი სამმართველო ცხრა წლის მაგიერ სამს წელს განახლდება. ამ ცვლილებიდან ჩვენს ბანკს არა ვითარი ენება არ უნდა მიეცეს, თუ რომ აზნაურების კრება საზო- გადო სარგებლობას არ დაიფიწყებს და თავ- დაპირველად და შემდგშიაც იმისთანა კა- ცებს აირჩევს კამიტეტისა და სამმართველოს წვერებად, რომელნიც სიტყვითაც და საქ- შითაც კეთილ საიმედო კაცებათ ცნობილ- ნი იქნებიან.

სხვა ამაზედ უფრო წერილმანი ცვლილე- ბანი, რომელნიც ბანკის მმართველობას შე- ეხებიან, როგორ გვატყობინებენ, სასარ- გებლო არიანო ჩვენის ბანკისათვის და არა მავნებელი.

მეორე უფრო დიდი ცვლილება სამინის- ტროს გიროთ მისადების ადგილ-მამულე- ბის — სახელდობრ ენახისა და ხილნარი ბა- ლების შესახებ მოუხდენია. სამინისტროს აზრით ენახები და ხილნარი ბაღები ისეთს საიმედო გიროს არ შეადგენენ, რომ ბანკ- მა იმათში გრძელ ვადიანი სესხი მისცეს, ან თუ მისცა, გიროს ფურტლებს გასაღება გაძნელდება, იმათ ფასი დაუეარდებათო.

სქრიალა ბეკუაძე.

პარიზი, 31 მარტი 1874 წ.

უშაღის სანდელის თაჲის გამართლ-
ბაჲად.

მე მხოლოდ ამ დღებში შემხვდა ნიკოლაძის პასუხი შურცელაძესთან, შესახებ შულ-ჭაერის ჩამოხრჩობისა.

ის აცხადებს, რომ მე, როგორც იუნკერს არ გამიყადრებდა, რომ ჩემთვის ეთქვას რამე ამ გვარი, როგორც შულ-ჭაერის ჩამოხრჩობა. მაგრამ საკვირველი მახელილი კაცია უფ. სკანდელი! ნიადგა ოხუჯობს და უბედურება ის არის რომ მას ხარათ თითონ გამოდის. აბა წაიკითხოს ჩემი წიგნი შურცელაძესთან და ნახავს, იქ არის ნათქვამი, რომ ჩემთან ილაპარაკა და არა მე მელაპარაკა. მე მაშინ სრულებით არ ვიცნობდი უფ. სკანდელს. მხოლოდ იმ ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ვაეშუერი თავმოწონებით ტრაბახობდა, ვითომც ვრჩიოს ჭრანტუხებისთვის შულ-ჭაერის დახრჩობა და სხვა ამ გვარები, მაშინ ვიკითხე მისი გვარი და სწორედ ვითხრა მკითხველს თუმც იუნკერი ვარ, მაგრამ მაშინვე ქულა არეულათ მეჩვენა ან დიდათ გალაზღანდარებულ, გაცვეთილ ხლესტაკოვით. მართლათაც და ბოლოსა და ბოლოს დაამტკიცა ეს ჩემი ჰაზრი თავისი ჭელეტონებით, და მეტადრე ამ თავის პასუხით, სადაც ამბობს: „მე ჩვეულებათ არა მაქვს იმ გვარს კაცებთან ლაპარაკის გამართვა, რომელნიც გონების გახსნით ჩვენს ძიხუცებაზედ ბევრით მაღლა არა სდგანან, და არა მგონია რომ ვინმემ გამართოს ამ გვარი საუბარი პირველ შემხვდარს უმეცარ და უსწავლოდ იუნკერებთან.“ აბა, საცდას ვე არ ავირდება იმას, რასაც სწერს და დღეს აღარ იცის, რაც გუშინ დაუწერია, თქმა აღარ უნდა, რომ ვე არც იმას დააკვირდებოდა რასაც ვე ზღესტაკოვობდა თავის მსმენელებთან. რაც შეეხება იმას რომ ვე ისე არ დაიმტობს თავს, რომ იუნკერებს თავი გაუყდროს სალაპარაკოთ, ამაზედ შემდეგს პასუხს ვაძლევ, რომ ჯერ არც ერთს იუნკერს პატიოსნობის დამტკიცება არ უკადრია. და თვით ნ. ნიკოლაძეზედ რასაც ლაპარაკობენ, ამას მკითხველი „ძრებულში“ დაბეჭდილის უფ. ანტ. შურცელაძის სტატიიდან შეიტყობს (ნახე „ქრებულის“ მეათე წიგნი). ვინც რასმეს დასწერს უფ. სკანდელზედ, ის მაშინვე ნამდელი საბუთებით თავის გამართლების მაგიერათ მაშინვე წამოაჭინებებს, რომ ამას იპიტომ მიწერნო, რადგანაც ესა და ეს არ დაუბეჭდო. შურცელაძე უმტკიცებდა მაგას უმეტრებს მაგან მაშინვე დააბრალო იმას, რომ იპიტომა სწერს ჩემზედ ამასო, რადგანაც მე „გას.“ შიტესა“ არ დაუბეჭდო; მე მივეც მოწმობა შურცელაძეს იმისთვის, რაც მოეთხოვება ყოველ პატიოსანს კაცსა, სკანდელმა მის დარღვევის მაგიერათ დააბრალო ესეც იმას, რომ კომედია არ დაუბეჭდო. რა პატიოსნებისაც თითონ არის, რომ ვინც აწყენებს რასმეს, მაშინვე ცილობასა და ლაზღანდარობას მიჰყოფს ხელსა, როგორც ეს უყო მაგან ბოგებში ვიგის და სხვებს ისრე სხვები ჰგონია. მსთქვით ეს ყველა ჩემი მოგონილია. უფ. სკანდელი, მაგრამ იმისას რაღას გვაძინებთ რაც ბეჭდით დაგიმტკიცეს?! რაც შეეხება დაუბეჭდობას შურცელაძემაც არ დამიბეჭდა რომელიმე თხზულებანი, მაგრამ მის სასარგებლოთ სიმართლე არ დავიშაღე. (მე ვგონებ ჩემი თხზულება თქვენთვის არა მამიტარა დასაბეჭდათ) იმისი არ იყოს რომ შურცელაძემ ვერც ზნეობით მოახერხა ჩემი მოკვლა და ვერც ჭიჭიკურათაო... მე არ ვიცი როგორ უნდა მოე-

ამას წინათ გწერდით, რომ ერთი აქაური პროფესორი ქართველი, პარიველი და პოლანსელი ქალის სიმშენიერებზე ლექციის წაკითხვას პირებს, შეტქი. მხოლოდ სიტყვით გადმოქცემთ ამ ლექციის შინაარსს:

როგორც მოგვხსენებთ, ფრანკულები ძალიან მებედარა ხალხია: უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში უფ. პუანსელო ჯერ საზოგადოთ „სიმშენიერებზე“ ლაპარაკობდა. აგვისნა, რომ სიმშენიერე სამნაირი არისო: ზნეობითი, ფიზიკური (ანუ სხეულის) და ლეთაბრიერი. მინ იცის, რას არ არ მოვლო, რას არ შეეხო, სად არ გადახტა, როდესაც ამ საგანზე ლაპარაკობდა! ბოლოს, როგორც იყო, თავის ლექციის საგანს დაადა და, სხვათა შორის, თქვა, რომ აღამინის სრული, იდეალური სიმშენიერე მაშინ გამოიხატება ჩვენს გონებაში, როდესაც ქალში ან კაცში გარგან — სხეულის სიმშენიერესთან შინაგანი — სულისა და გონების სიმშენიერეც იხატება. რაც უნდა მშენიერი იყოს აღამინი, თუ იმის პირის-სახეზე გონიერება და აზრანობა არ იხატება, იმის სიმშენიერე ვერ დაგვაქაყოფილებსო.

შველა მოგზაურები და მწერლები თანახმა არიანო, განაგრძო იმან, რომ ქართველი ქალი დედაშიწის ყველა ქალზე უფრო მშენიერი არისო, როგორც ტიპი იმისთანა მშენიერს ქალს ჩვენ ვერსად ვერ ენახავითო. თეთრი ხორცის კანი, მშენიერი მოყვანილობა, შავ თმა-წარბი, კარგათ მოყვანილი თვალები, ლამაზი ბერძნული ცხვირი, პატარა ტუჩები, — ყველაფერი რაც ქალის სიმშენიერეს შეადგენსო. მაგრამ ქართველები ბარბაროსები არიანო, ქართველ ქალებს არავითარი სწავლა — განათლება არა აქვთო; და მაშა სადამე თქვენ ადვილად შეგიძლიანთ გაგოთო, რომ იმათ სახის გამომეტყველება არ უნდა ჰქონდესთო. ისინი მშენიერები არიან, როგორც კარგათ დახატული სურათები, იმათ სახეზე ვერც ქუჩას, ვერც აზრან და ვერც სხვა რამე გამომეტყველებას ვერ წაიკითხავთო.

მის მაგიერად პარიველი ქალი, თუმცა ქართველ ქალსავეთ ლამაზი არ არის, მაგრამ პირის სახეზე რომ დააკვირდეთ, უსათუოდ შეატყობთ, რომ ჰქეიანი, მოხერხებული და გონიერი სულდამულია; უსათუოდ იმის სახეზე გამომეტყველება; ამის გარდა ვაზდილობის წყლობით, იმას მშენიერი მიხრა-მოხრა და მანერები აქვს, ის განხორციელებული გრაციოა...

ჩვენ პროვანსელ ქალს ქართველი ქალის სიმშენიერეც აქლიაო და პარიველის სახის გამომეტყველებაო.

ამ ტემაზე პირიველმა პროფესორმა უკანასკნელი საათ ნახევარი ილაპარაკა. რამდენიც ვერჩიოსთ, იმდენი მებედარა დაუძახეთ თქვენ იმას, თუ გნებავსთ, კიდევ გაუწყურით იმისთვის, რომ ქართველებს ბარბაროსები და მხეცები დაგიძახა; მაგრამ რამდენიც უნდა გაუწყურეთ, არ შეგიძლიანთ, რომ იმის აზრს ჩვენებურ ქალებზე არ დაეთანხმართ. ღაე, ქართველმა ქალმაც მიაქციოს ყურადღება მისთვის არა სასიამოვნო, მაგრამ ჰეშმარტის აზრს.

ს. მესხი.

კალით შურცელაძეს ზნეობით მე მხოლოდ ეს ვიცი რომ მოკვლა ხოლოდ ცოცხლისა შეიძლება! რაც შეეხება ჭიჭიკურს სიკვდილს იმის შესახებ გირჩევთ, რომ როდესაც ეს დაგაიწყდესთ ჩიხხელოთ ხოლმე სარკეში...

იუნკერი თარხან-მოურავი.

თბილისი მარტი, 1874-სა წ.

რუსეთი

„მოსკოვის უწყებები“ გვაცნობებენ, რომ სახელმწიფო რჩევაში შეტანილია ესლა სახალხო განათლების მინისტრის წარდგინება სასოფლო შკოლებს თაობაზედ. ამ მინისტრის პროექტის ძალით ყოველს რუსეთის გუბერნიაში, საცა საერო წესდებულება არ დაუდგენიათ, თითოეულს ათას სულს მამაკაცზედ თითო შკოლა უნდა გაკეთდეს. თითოეულს შკოლას საჩიოდ უნდა მიეცეს 230 მანეთი, აქედამ 130 მასწავლებლისათვის და მღვდლისათვის სამღვთო წერილის სასწავლებლად 75 მანეთი, და საშკოლო სახელმძღვანოებისათვის 25 მანეთი. საშკოლო სახლის აშენება ან დაქირავება, შეშა, სანთელი, მოსამსახურე იმ სოფლის ხარჯზედ უნდა იყოს, რომელიც ამ შკოლით სარგებლობს.

შკოლიმირის ებარქიაში ადგილობრივს სეპარქიო მთავრობას შეუდგენია იმ პირთ სია, ვისაც კი სემინარიის კურსი გაუთავებია და შკოლიმირის გუბერნიაში სცხოვრებს და ამ სიაში ჩაწერილი პირებისათვის მოუთხოვია, რომ თითოეულმა იმ. თანამა რამდენიმე ქადაგება დასწერონ აღნიშნულს მთავრობისაგან საგნებზედ. ამბობენო, რომ ჩაუკეთებო ქადაგებები უნდა დაიბეჭდოს და მერმე ყველა იმ საეპარხიოს სამრევლო მღვდლებმა უთუოდ უნდა იყიდონ. ქადაგების შედგენისაგან ისინიც არ არიან განთავისუფლებული, რომელთაც სემინარიის კურსი გაუთავებიათ და სასოფლო შკოლებში მასწავლებლებათ არიან. ამ ქადაგებებისაგან ორ ნაირი სარგებლობა მოგველის: ერთის მხრით კარგი ქადაგებები შეგვემატება და მეორეს მხრით გავიგებთ მაინც კეთილ საიმედო მიმართულების არიან თუ არა ის კაცები, რომელთაც სამღვდლო უწყება დაუტოვებიათ და წერა-კითხვის ხალხში გავრცელება უკისრნათ.

21 მარტს პეტერბურღში უფ. რადდეს ლექციები წაუკითხავს ჩვენს ქადაგების მხარეზედ. რუსული გაზეთი „ხმა“ ამბობს, რომ „ქადაგების“ მთიული ხალხების დამორჩილების შემდეგ, ქადაგების მხარის რუსეთთან და მერობასთან დამოკიდებულება სრულიად შეიცვალაო. მხლა ამ ქვეყნის ყოველ მხრივ გაცნობა ჩვენთვის ძლიერ სახალისო არისო. უფ. რადდემ ნამდელი სურათი წარმოგვიდგინა ქადაგების მთების და სხვა ადგილების, მერმე შეუდგა იქაური მცენარეების და ცხოველების აღწერას. მეორე ლექციაზედ იმან გაგვაცნო ქადაგების ხალხები, იმათი ეხლანდელი მდგომარეობა და მოსალოდნელი მომავალი. რადდემ ამბობდა, საჭიროა, რომ ქადაგების შემუშავება, აღებმაცემა და მრეწველობა „გონიერული შრომისა და ევროპული კაპიტალების“ შემუშავებით“ წინ წაიწიოთო.

ბოლოს რადდეს ულაპარაკნია ნფ. თის შემუშავებასა და ეპკობაზედ, რომელი შიაც ეცილებიან ერთმანერთს რუსებისა და სომხების კაპიტალები.

— რუსეთში სომხობებსა და გაუქმებული საყდრებს გარდა ზნეობის სწავლა ყოფილა, ამათში 31 უთასი სასწავლო კლესია. სამღვდლოება ამ ეკლესიებისა ყოფილა: დეკანოზები და მღვდლები 37,718, დიაკვნები — 11,857 პრიტერნიკები — 65,951. ნახევარი ამ ეკლესიებთაგან სახელდობრ 17,667 სახელმწიფო ხაზინიდან იღებენ 4,384,412 მანეთს და ამას გარდა თვითონ მმართველობა ხარჯავს საყდრებზედ წელიწადში 5,200,000-ს მანეთამდის.

— რადგანაც რუსეთში ფრანკუული საზომისა და საწონის შემოღება საჭირო შეიქნა, ამისათვის, როგორც ამბობენ, ჯერ შესაჩვევად ფორტაში, ტელეგრაფში, ტამოქნებში და რკინისგზებზედ უნდა შემოიღონ; მერმე ნება მისცენ ყველას, ვისაც სურს, ეს ახალი საზომები და საწონი იხმარონ და როცა კარგად შეეჩვეიან, ძველი ანგარიში უნდა გადაიარდეს.

უცხო ქვეყნები


საშარანბათი.

— უკანასკნელს დეპუტატების არჩევანზედ კიდევ ბევრს ლაპარაკობენ საფრანგეთის გაზეთები. ლეგიტიმისტები სცილობენ რომ მკ. მაჰონის შეიღის წლის პრეზიდენტობა თავის წინამძღოლების სასარგებლოდ მოიხმარონ. ბონაპარტისტები ცხადად ამბობენ, რომ ჩვენ არაფრის გულისთვის არ დავთანხმდებით ხალხის საყოველთაო აღრჩევაში უფლების შევიწროებაზედ, რომელსაც ნაციონალური კრების მარჯვენა უშაგული აპირებსო.

— მმართველობის გაზეთება სჩივიან, რომ ბონაპარტელები პროვინციებში თავისი პრინციის სასარგებლოდ ჰქადაგებენო; თურმე ბონაპარტელები ნაპოლეონ მესამის ისტორიის სახალხოდ დაბეჭდას აპირებენ, რომლითაც ნაიმპერატორალის ყველა მოქმედების გამართლება უნდათო.

— პარიჟში ბევრს ლაპარაკობენ ბროლის სამსახურიდან გამოსვლაზედ და იმის მაგიერ ბიუჭეს დაყენებაზედ. ბროლი, რომელიც ესლა ძალიან სძულს უკიდურესს მარჯვენა მხარეს, უფრო უშლის პალატის უმრავლესობის ერთობას, ვინემ ეწვეა. მაგრამ გამოვა თუ არა უფ. ბროლი სამსახურიდან, სამინისტროს მაინც სამი დაბრკოლება შეხვდება წინ: ერთი ესა, რომ ლეგიტიმისტებს თავისი კანდიდატის შამპორის ტახტზედ აყვანა სურთ; მეორე — რესპუბლიკელები პალატის დათხოვნას სცილობენ; მორლიონებს კი უნდათ ახალი „შეუძლებელი“ აღრჩევითი კანონის დამტკიცება და მეორე სენატის დადგინება, რომელიც „საჭირო“ სრულიად არ არის. თუ მმართველობამ შამპორისა და რესპუბლიკის მომხრეებს არ სძლია, მისი საქმე წასულია. რაც შეეხება მესამე პლანს, დამარცხდება იმაში მმართველობა, თუ გაიმარჯვებს სულ ერთია, ამიტომ რომ მმართველობა მაინც სახელ-გატეხილი იქნება.

— ბაზეთები გვარწმუნებენ, რომ როგორც ნაციონალური კრება ხელახლა სდომებს გაპართავს, ლეგიტიმისტების ერთი ნაწილი მონარხის აღდგინებაზედ კითხვას



აღძრავსო. ამ საქმის ხელმძღვანელობას თვითონ გრაფი შამბორო კისრულობსო.

იპაონია.

იპაონია თანდისთან წინ მიდისს. ძალაქებს გაზით ანათლებენ, ნათ-საღვურებს ახალს რკინის გზებს და შკოლებს აკეთებენ...

კორასპონდენცია.

ჭენევა, 5 აპრილს 1874.

ამ წასულ კვირას ჭენევის ჰქონდა ერთი თავისუფალი დღესასწაულობათაგანი, რომელიც განსაკუთრებით სიცოცხლეს აძლევს აქაურ ცხოვრებას. ამ ერთი დღის მზარულეებს ასულ პატარა მიზანი ჰქონდა; მოქალაქეებმა აქ ისურვეს ერთი დღის მზარულად გატარება, რომ მათ ერთმანეთისათვის თავის ძმობა გაეხსენებინათ და თავის მამულის სიყვარული გამოეთქვათ ყველას საგრძნობელათ. ეს დღესასწაული პატარა მუზიკალურ კრებას შეადგენდა. მრის-სამი აქაური მუზიკალური საზოგადოების თაოსნობით აქ იყენენ მოწვეულნი ლოზანისა ნეგმატელისა და მალეს კანტონებიდან იქაური მუზიკალური საზოგადოებანი, რომ ყველას მათ ერთად ერთი დღე გაეტარებინათ. შაბათ საღამოს, როცა მოვიდნენ ამ კანტონებიდან, ისინი მიიღეს, როგორც აქ ჩვეულება აქვთ, მათთვის მომზადებულ ბინებზე, საქმე დიდი არა იყო რა, მაგრამ ერთი მზადება ჰქონდათ მაინცა მათ მისაღებათ; სამი დღის წინ ქალაქში ყველგან შეხედებოდათ აფიშებს, სადაც ამ დღესასწაულის კომიტეტი დიდს სიამოვნებით აცხადებდა, რომ ამ კვირას აქ ჩენი თანამემამულენი მოვლენო და აბა თქვენ იცითო, ვუბნებოდა მოქალაქეებს, როგორც პატივის ცემას გამოუჩინეთო. ამ კანტონებს შორის, რომელიც ეწოდა შვეიცარიის შეადგენს, ყოველ ნაირი მათი დახლოებების და შეკავშირების საფუძველი ეს ერთი ერთმანეთის პატივისცემა, სიყვარული და დაფასება არის. შორიდგან რომ შეხედოს კაცმა, შეიძლება თქვას, რომ შვეიცარიის ერთობას გარეგანი მტრის შიში ამაგრებსო; მაგრამ ეს სრულებით არ არის მართალი; ან უკეთ ესთქვათ, თუმცა ამ მიზეზს აქვს რაოდენიმე ამ ნაირი მნიშვნელობა, მაგრამ მისი მეოთხედიც არა, რაც სხვას. შიში არსად არა გაუკეთებია რა და ვერცარას გააკეთებს ვერასოდეს. შიში საომრად კარგია, რისიმეს დასარღვევლად, წასაზღვრად; მისი შემწეობით არასოდეს შეიძლება არა შესდგებარა. პატივით თითონ უნდა დაფასოს რასში არის მისი სარგებლობა, რას შეუძლია მისი ბედნიერების დამყარება და მაშინ იმ საფუძველს უნდა დაემყიდროს, რასაც ამ გამოძიებით ის მოიპოვებს. როგორც პატარა საზოგადოებაში, პატარა წრეში, ისეთიველი ხალხების კრებაში, ფედერაციაში, ერთი სასაფუძველი აზრი არის გამოაშკარებულნი, რომლის დარღვევა იფიქრებს არ უჯდება არც ერთს, და არც მეორეს: თითოეული პირის ან ხალხის პატივისცემა და დაფასება, რომელიც კაცს კაცად ხდის, მას აფიქრებინებს და ათქმევინებს, ყველაფერს რაც მისი გონებისა და გულისათვის შესაძლებელია; პატივისცემა, დაფასება სხვისა წყნარად გარჩევენებს მის ნაგრძობას და ნათქვამებს, აწონინებს სეინდისიანად და რაც მისაღებია მიიღებინებს და რაც არა, არა. ამ საზოგადო პრინციპის ცრულად გარჩევა ამისთანა პატარა კორასპონდენციაში არ მოხერხდება, მაგრამ აქ იმას მაინც დავსძინებ, რომ ყოველნაირი მოძრაობა, ეხლანდელ საერო ცხოვრებაში ამ მიზნისკენ მიიზიდვის, რომ საზოგადოება ამ ნაირათ მოეწყოს, რომ ამ პრინციპს თავის გამხორციელებული გარემოებები ეზოვებოდეს. შვეიცარიასაც ბევრი უკლია ამ მიზნამდის მიწევას, მაგრამ ყველა სხვა ხალხებზე რომ უფრო ახლოს არის ესეც ნამდვილია. შვეიცარიაში სითვალბლე, ერთი ერთმანეთის დაფასება, პატივისცემა და თითქმის სიყვარული, რომელსაც კაცი მათში ხედავს, მეტად ყურადღების მისაქცევია. სხვა რომ არა იყოს-რა მართო ეს თვისება გარჩევის შვეიცარიელს სხვა ხალხებისგან. სულ რომ ახლოს იყოს კაცი შვეიცარიასზე, მაინც ეს თვისება პირ და პირ თვალში ეცემა, შამოადგამს თუ არა აქ ფეხს. ჩემი ფიქრით ამ თვისებიდან წარმოსდგება ის მეგობრული, ძმური დამოკიდებულება, რომელიც სხვა და სხვა კანტონების ხალხს შუა სუფევს. მერ წარმოიდგენთ, როგორ ყოველ ნაირი მიზეზი და შემთხვევა საკმაო არის, რომ ეს ძმური განწყობილება გამოცხადდეს ხოლმე. ამისთვის შემთხვევა ხან უკდელათ შეუხედებათ და ხან თვითონ მოძებნიან ხოლმე. ამ ნაირათ ახლებენ ერთი ერთმანეთთან კავშირს, ერთობას, სიყვარულს და მეგობრობას. ეს სიტყვები ყველანი თითოეულად და შეუცვლელად იხმარება ამათ ერთი ერთმანეთის განწყობილების გამოსახველად. ეს დამოკიდებულება და ერთობაც უფრო ამნაირ გრძობებზედ არის დამყარებული, ვინემ რომელიმე პოლიტიკურს კონსტიტუციებზედ და პარაგრაფებზედ. შოველ კანტონს თავისუფლათაც უნდა ცხოვრება და მასთან ძმურათაც თავის მეზობელ კანტონთან. ბი მეც ამ ძმურ განწყობილებაში ეხედავ მთელი შვეიცარიის ძალას და მისი „კავშირის“ სიმკვიდრეს და სიმტკიცეს. შოველ ნაირ დღესასწაულში და თავყრილობებში ამ გრძობას თავისი ადგილი უკავია. ბი ამ პატარა დღესასწაულშიაც, რომელიც ამ კვირას იყო ჭენევაში, აქედგან დაიწყეს საქმე; მოსვლისას პირ და პირ გაშლილ სუფრასზე მიიწვიეს, მგრამეთ მათთვის დანიშნულ ბინებზედ მიუძღვენ. მეორე დღეს, დღლა სხვა სიამოვნებით გაატარეს და ნასადილევს 2-საათზე საზოგადო კონცერტი იყო აქაურ უპირველეს ეკკლესიაში ეს ეკკლესია ერთი დიდი შენობა არის; შიგ რამოდენიმე ათასი კაცი ეტევა; როცა იქ წირვა არის ხოლმე, დედლის ქადაგებას ძრიელ ცოტა სმენულობას, თუ რომ ორ სამ საქენზედ მომორდი საქადაგებელ კათედრას, სრულებით აღარა ისმისრა. წირვა ყოველთვის არის ამ ეკკლესიაში, ხალხიც ბევრი დაიარება, მაგრამ ქადაგების მსმენელები ერთობ ცოტა არიან; ეს არაფერი: წირვაზედ სხვაგან სად დაღიან რასმეს მოსასმენათ და გასაგებათ, რომ აქ იარონ. ეს ეკკლესია მეთორმეტე საუკუნეში არის აშენებული; დიდ რეფორმაციამდის კათოლიკებს სჭირათ და მერმე მათთვის კალივინისტებს ჩამოართვეციათ; ახლაც ამ უკანასკნელების ხელში არის; ძალივინისტებს ეკკლესიაში საზოგადოთ არავითარი ნიშანი არა აქვთ: არც ხატი, არც ასე გასინჯეთ ჯვარი; ამათ მსგავს

მათს ეკკლესიაში ვერას მოიძევე. შუა ადგილს ერთი ქვის ბოძის კუთხეზედ არის პატარა კათედრა, საიდგანაც დედელი ქადაგობს ხოლმე. ამათი წირვა ეს ქადაგება არის. ამ ნაირათ ამოდენა დარბაზი საჯდომებით მორთულია და სხვა ახირებული არაფერი უშლის კაცს. ამ ეკკლესიაში ხშირად არის ხოლმე კონცერტები ბალები და მასკარადები ჯერ არ დაუწყიათ, მაგრამ შემდგომში იქნება ესეც შემოიტანონ. ბურბაკის ჯარი როცა გადმორეკეს ბერმანიელებმა შვეიცარიაში, ნახევარი სულ ამ ეკკლესიაში იყვნენ. მხლაც ასე მოიქცნენ და გამოარჩიეს ეს დიდი ეკკლესია საკონცერტოთ, სადაც ყველა საზოგადოებამ, მოსულმა და აქ დამხლობმა, მიიღო მონაწილეობა. ხალხიც მრავალი იყო და კიდევ უმრავლესი იქნებოდა, რომ ეკკლესიას მეტის დატევა შესძლებოდეს. მართალია კონცერტის ყველა კმაყოფილი დარჩა, მაგრამ ამ ხალხის სიმრავლით კი არა დაიფასება, ამიტომ რომ ქენეველებს ერთობ უყვართ მუზიკა და კარგა და ავზედ ყველგან აუარებელ ხალხსა ნახეთ ხოლმე; ამიტომაც კონცერტები ერთობ ხშირი არის აქ. მართი თეატრი აქვსთ, ყოველ საღამოს აქ ოპერა არის. ამას წინეთ ბრაუნშვეიგის გერკოვი მოკვდა აქ და მან უნდებოდა ქალაქს 25 მილიონი ფრანკი. იმათი პირველი საქმე ის იყო, რომ მილიონ ნახევარი ახალი თეატრის ასაშენებლათ გადაეღათ და სხვას მის შემდეგ დაუწყეს განაწილება. ამ კონცერტის შემდეგ, საღამოზედ მეჯლისი იყო; აქ, როგორც თითონ თქვენც კარგათ წარმოიდგენთ, სადღებრძელობები იყო; პირველი სადღებრძელობა მამულისათვის იყო და ამ საგანზედ თითონ კომიტეტი პრეზიდენტმა ერთი გრძობით საესე და აზრიანი, სიტყვა წარმოასთქვა. ბი ეს სიტყვაც:

საყვარელო მეგობრებო, საყვარელო მემამულენო! მართი ჩენი პატროტული სიმღერა, რომელიც თქვენ ყველამ იცით, იწყება ამ ნაირათ: პრის, მეგობრებო, ერთი წმინდა ქვეყანა, სადაც ყველა მისი შეილება სიკვდილი მაინცა სურთ. მაღალი მთბიდან, რომლითაც ის გარშემორტყულია. ვის ჩენთაგანს უნახავს რომ გული არ აგებოდეს დამატკობელი გრძობით. გამაგრებულის თოვლით მოვერტყულულ მთის წვერებით, მოშვების მსგავსად ამართული პერში კლდებით, აუყვებელი ხეობებით, ჰელვეცია! ჰელვეცია! ეს შენ ხარ, შენ, რომელიც ჩვენ გვიყვარს მარდის. ბი ამ სამშობლოსთვის, საყვარელო მეგობრებო, ამისთვის უნდა იყოს ჩენი პირველი ფიქრი ჩენს დღესასწაულში. ჩვენ გვიყვარს ეს შვეიცარი მიწა, რომელიც ჩენი მიწა არის, ჩვენ გვიყვარს, მისი მთები, მისი მინდვრები, მისი ტყე და მისი ტბები, რომლის ლაქვარდოვან სარკეში იხატებამისი მშენიერება. ჩვენ გვიყვარს მისი ყოველნაირი საზოგადოებანი, რომელიც ვრცელდება მის თავის უფოლ მიწაზედ. ჩვენ გვიყვარს მისი დღესასწაულები, რომლისაც ყველა კანტონები თავს იყრიან, მოქმედებენ, სტებნიან მზარულებით სამშობლოს მეგრელობის ქვეშ და მისი შთაგონების ძალით. მაგრამ ჩვენ ყველაზედ მეტად აი რა გვიყვარს ამ სამშობლოში: მისი თავის-უფალი წყობილება, მისი რესპუბლიკური სიცოცხლე, რომელიც სდულს თითოეულ კანტონში, თითოეულ კომუნაში (საზოგადოებაში) მისი თავისუფლება, რომელიც ჩენს სიამაყეს შეადგენს. მადღებრძელოთ შვეიცარიის ფედერაციას, ჩვენ ყველასი დედა მშობელი!

რომ მის წყობილებას მიეცეს გეროვანი სიმკვიდი რე და ძლიერება. მანსაკუთრებდა, რომ ის ხალხი ხმობა, ის პარმანია, რომელიც მის შვილებს აერთობს, შეიქმნეს მტკიცე და შეურყეველი. მსენი, საყვარელო თანამემამულენო, ჩვენზედ არის დამოკიდებული, მართო სამშობლოს ბედნიერების სურვილი არ არის საკმაო, უნდა თითონ ამ ბედნიერებისათვის ვიმუშაოთ. იმისთვის, რომ ოთხ ხმოვანი გალობა ითქვას, ორი საქმე არის საჭირო: შესწავლა და კეთილი სურვილი. როდესაც თითოეულმა მაგლობელმა კარგათ შეისწავლა თავის ნაწილი და განიმეორა თავის თანამაგლობელთან, მტკიცედ გულის მოწოდებით, რომ ეს გალობა კარგათ გამოვიდეს, მაშინ მთელი გალობის აღსრულებაში მეტის სიხივლითა სხანს პრმანია, ეჩვენება კაცს, რომ ათასი ხმიდან მართო ერთი ხმა არის შემდგარი. ბი ეს არის ყველას საერთო მოწოდინების შემდეგი. ამ ნაირათვე მთელ კონფედერაციაში ოთხი ხალხია, ოთხი ენა, ოც და ორი კანტონი, სადაც თითოეულს თავის მიმართულება აქვს და თავის საკუთარი ცხოვრების წესი. მაგრამ ამ უთანასწორობას აერთებს ერთი უმაღლესი და საზოგადო გრძობა; გრძობა, რომელიც პიროვნულ სარგებლობას საყოველთაო სიკეთისთვის ავიწყებინებს კაცს; ეს გრძობა მართო ერთი სახელით იცნობება, ეს სახელი მამ ულ ის სიყვარულია! მამულის სიყვარული მართო იმის თქმვაში არა მდგომარეობს, რომ ის გვიყვარს; მისი სიყვარული მისთვის თავის დადებას შეადგენს, რომ კეთილ-სეინდისიანათ აასრულო შენი კერძო შრომა საერთო ნაციონალურ შრომაში. შვეიცარიის კონფედერაცია, საყვარელო მეგობრებო, კრიტიკულ მდგომარეობაში არის—თუმცა უფრო ნაკლებ, ვინემ ამ ორი წლის წინეთ, მაგრამ მაშინდელი უთანხმოება დღემდის არ გამქარალა; მიმდგომით, ვისურვოთ, რომ ამ მიმე დრომაც ისე გაიაროს, როგორც სხვა მსგავს დროებს სხვისი გაუფლია; ერთი ერთმანეთის დაამობით და ყველას სათანოდებისათვის. მაგრამ მართო იმედოვნობა არ გვიყვარს—ვიმუშავოთ ამისათვის. შეცადოთ, ავსარულათ ჩენი მოკლეობა იმ მდგომარეობაში და მოხელობაში სადაც თითოეული ჩენგანი იმყოფება. ყველა ჩენგანს მუღვივ თვალ-წინი უნდა ჰქონდეს ის ფიქრი, რომ ჩვენ ყველანი თინასწორი ვართ და უნდა ვცეთ პატივი თანამოქალაქეებს იმდენათ, რამდენათაც ჩვენ გვინდა, რომ ჩვენვე პატივცემული ვიქნეთ. მიხელომძღვანელოთ ამ ორი პრინციპით და ვიტყვი გაბედვით. ჩვენ ვიმუშავებთ და ვეფლით ზომიერათ და თანხმად ჩენი სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის. ძვირფასნო თანამოქალაქენო და ძვირფასნო თანამემამულენო! მოგიწევს ყველას, დავლიოთ ჩენი სამშობლოს სადღებრძელო! იღვებრძელოს მარად შვეიცარიის ფედერაციამ, იქმნეს ბედნიერი და ყოველთვის თავის-უფალი! ბ. ჯ.

ნარკვი

მუღვიჩში (ინგლისში) ეწლა ერთი ვეება ზარბაზნის ჩამოსხმას აპირებენ. იწყებენ, რომ ეს ახალი კაცის ამომკლელი იარაღი ოთხმოცდა ერთი ტონის წონა ე. ი. ხუთას ორმოცი ფუთის სიმძიმე იქნებაო. მხლანდელი საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის, მაკ-მაჰონის, გვარი, როგორც გეცნობებენ, ყველა ევროპიელს სამეფო გვარებზედ უფრო უძველესი ყოფილა.

